ცნობის ფურცელი

№ 1792 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 კვირა, 28 აპრილი № 1792

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატების მე-38 ნომერი.

ქვრივი ატატო კაციას ასული წერეთლისა და ასული მისი თამარ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, ხოლო მეორე საყვარელის მამის

აზ. დიმიტრი ექვთიმეს ძის წერეთლისას

და უმორჩილესად სთხოვენ პატივი სცენ და მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენების დღეს 30 აპრილს, სამშაბათს, შორაპნის მაზრის სოფ. ჭალაში. (2—2)

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **4** მან. და **50** კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

გაზეთი „ივერია“

რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,

გადადის საკუთრებად „**ივერიის**“ ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელშეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაჭაძე, სპირიდონ იოსების ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის ძე, დოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დისამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჭაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც ამ წლის 1 მაისიდან მოთავსებული იქნება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა. (ნ. 3—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—ქალთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. მოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—ქალთა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ტელეფონი № 274. (წლ.))

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე; მიიღებს აგრეთვე საქმიოს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმაიევის სახლი.

ქართული თეატრი

კვირას, 28 აპრილს 1902 წ.

ქართული დრამატიული დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

ვლ. ალექსი—მესხიშვილის მონაწილეობით

ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. გარგარეთელი, სარიძე და სხვა. ბატონნი: ვლ. მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, რომანიშვილი და სხვა.

დასაწყისი 8½ საათზე. ფასები დაკლებულია.

რეჟისორი **ვ. გუნია**.

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24. **ტელეფონი № 642.**

ტფილისიდან წასვლის გამო დიდუბეში ისყიდება სახლი, რომლის ფასადი ორ ქუჩაზეა: ანდრეევსკაია და შერემეტიევსკაიაზე; 15 ოთახი და 1 მაღაზია, ქვეშ სარდაფი. უპირველესი ადგილი. პირობების გაგება შეიძლება სახლის პატრონისაგან. (6—5)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან ხელით ნახატებიდან.

სასოფლო ბიბლიოთეკები

ეს ერთი ხანია, ალაგირიდან რამდენიმე წერილი დაიბეჭდა „ცნ. ფურცელ“-ში და „ივერია“-ში ალაგირის სამკითხველოს შესახებ. ადგილობრივი მასწავლებელი წერილს-წერილზე ჰგზავნიდა რედაქციებში, რათა ქართველ საზოგადოების ყურადღება და თანაგრძნობა ეშოვნა ამ საქმისათვის. რამდენიმედ მიაღწია კიდეც მიზანს საქმის ინიციატორმა: წიგნებიცა და ცოტა ფულიც გაეგზავნა საქმის მოსაწყობ რიგებლად და, ალბად, ბიბლიოთეკაც დაიწყებს მოქმედებას.

ალაგირის ბიბლიოთეკის დაარსება ტიპიურია ყველა ჩვენებურ ბიბლიოთეკების დაარსებისათვის: ვინმე ადგილობრივ საზოგადოების გულ-შემატკივარი მოინდომებს ბიბლიოთეკის დაარსებას, იშოვის ერთ-ორ თანამგრძნობელს, დასწერს ერთ-ორ წერილს გაზეთებში, შეაგროვებს ცოტა წიგნებსა და თანხას და საქმეც გაიჩარხება, მაგრამ სულ მოკლე ხნით: არ გაივლის რამდენიმე თვე და გაზეთებში ჩივილსა და წუწუნს ვკით ხულობთ ასეთის იმედებით დაარსებულ საქმის შესახებ: წიგნები აღარ გვაქვს, ჟურნალ-გაზეთები ვერ გამოგვიწერია უსახსრობის გამო, ორი-სამი დამაარსებელი წევრი გულგრილად ეკიდება თავის მოვალეობას, ბიბლიოთეკა თითქმის იხურება ან დაიხურა.

მიზეზი? რასაკვირველია, აქ ისევ ჩვენებური ძველებური დაუდევრობა და ერთმანეთის შური და მტრობა მოქმედებს, მაგრამ უმთავრესი მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ.

საქმის ინიციატორები იმ თავითვე ერთ დიდ შეცდომას სჩადიან: არ ჰფიქრობენ ან ვერ ახერხებენ დაწყებულ საქმის ინტერესი აღუძრან და გაუღვიძონ იმათ, ვისთვისაც საქმე კეთდება. ჩვენებური სახალხო ბიბლიოთეკები ხომ ინტელიგენციისათვის არ არსდება; დამაარსებლებს უმთავრესად ხალხი ჰყავთ სახეში და ამ ხალხის მონაწილეობა კი არც საქმის დასაწყისში და არც შემდეგ არსად ჩვენში არა სჩანს. ამიტომ არის, რომ ბიბლიოთეკა ჩვენს პროვინციაში უნიადაგო გამოდის და ან მალე სულს ლევს, ან მისი არსებობა სულის ღაფვაა და მეტი არაფერი.

საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენების და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებაა, რომ თვით ხალხი დაინტერესდეს საქმეში ზნეობრივად და მატერიალურად. მართალია, ჩვენი სოფლელი განუვითარებელია და თან ღარიბიც, მაგრამ შესაძლებელია განუვითარებელი სოფლელიც დაეჯეროს საქმის სარგებლიანობაში და მის მატერიალურ მდგომარეობის შესაფერი წვლილი გამოაღებინოს მას საქმისათვის.

მართლაც, თუ ჩვენი სოფლელი სკოლას აარსებს და ამ საქმისათვის თავის ღარიბ ჯიბეს ძალას ატანს, ნუ თუ იგი ვერ გაიგებს ბიბლიოთეკის მნიშვნელობას და საჭიროებას, ნუ თუ შეგნებული კაცი ვერ მიახვედრებს მას, რომ, თუ საკითხავი წიგნი და გაზეთი არ ექნება მის შვილს სკოლის გათავების შემდეგ, სკოლა და ის დრო, რომელიც სკოლას მოანდომა მოსწავლემ, სრულებით უნაყოფო და უმნიშვნელო შეიქნება.

კიდეც რომ შეიგნოს სოფლელმა ბიბლიოთეკის საჭიროება, ის იმდენად ღარიბია, რომ ერთ გროშსაც ვერ გაიღებს ამ საქმისათვისო, გვეტყვიან. მაგრამ ეს პასუხი არ არის: მართალია, გლეხს ფული არა აქვს და ფულით ვერც დაეხმარება იგი ბიბლიოთეკას, მაგრამ გლეხის მადლიან მარჯვენას, მიუხედავათ დიდის ჯაფისა და შრომისა, ერთიორი თოხის მოქნევა კიდევ შეეძლება ისეთ სასარგებლო საქმისათვის, როგორიც ბიბლიოთეკაა, თუ მას, რასაკვირველია, ესმის, რომ ბიბლიოთეკა სარგებლობას მოუტანს მის ბალღს, რომელიც სამი-ოთხი წელიწადი სკოლაში ჰყავდა.

საფრანგეთის გლეხი გაცილებით უფრო მდიდარია ჩვენებურზე, მაგრამ იქაც კი ბევრ სოფელში სჭირს სასოფლო ბიბლიოთეკისათვის ადგილობრივ პატარა ფულის შეგროვება. ამიტომაც არის, რომ სოფლის ინტელიგენტები, განსაკუთრებით სოფლის მასწავლებლები, სცდილობენ საქმეს სხვა გზით მოუარონ, სხვა ნაირად მიაღებინონ მონაწილეობა ადგილობრივ მცხოვრებს მისთვის დაარსებულ საქმეში.

ერთ მასწავლებელს, მაგალითად, შემდეგის საშუალებისათვის მიუმართავს (შარშანდელ „ცნ. ფურცელ“-ში იყო მოყვანილი ფაქტი): შეუდგენია „წიგნების მეგობრების საზოგადოება“, რომელსაც შარშან სულ ოცდა-ცამეტი წევრი ჰყოლია. საზოგადოებას დაუქირავებია პატარა მიწა, დაუთესია შიგ კარტოფილი, მრავალი გაუყიდნია და შემოსულ ფულით წიგნები შეუძენია. გარდა მიწის ღალისა, საზოგადოებას ფული ერთი გროშიც არ დაუხარჯავს. ფულის შემოტანის მაგიერ, რაც მეტად უძნელდება სოფლელს, გლეხი თავის მარჯვენით დახმარებია საქმეს და საქმესაც უხეირნია.

ჩვენში მიწა გაცილებით უფრო იაფია, მეტ წილად ღალის გადაუხდელადაც შეიძლება მისი შოვნა, ჩვენებური გლეხიც დაუზარებელი მშრომელია და ამიტომაც საფრანგეთის ხსენებულ სოფლის მასწავლებლის მაგალითის მიბაძვა ძალიან ადვილია ჩვენში. საჭიროა მხოლოდ სურვილი და ინიციატივა.

სანამ ბიბლიოთეკის საქმე ხალხის თვითმოქმედების ნიადაგზე არ იქნება დამყარებული, იგი ვერ იხეირებს. ჩვენებურ ქველ-მოქმედებით შორს ვერ წავალთ. ქველ-მოქმედება აუცილებლად ხალხის თვით-მოქმედებაზე უნდა შეიცვალოს, თუ გვინდა, რომ საქმემ მტკიცე და საიმედო ნიადაგი მოიპოვოს.

საზღვარ-გარედ

ოსმალეთი. ფრანგულ გაზეთ „არმენი“-ში დაბეჭდილია წერილი ახალგაზდა ოსმალთა დასის ცნობილ მოღვაწის ხალილ ჰანემისა, რომელმაც თავის პოლიტიკურ წერილებით „ჟურნალ დედაბა“-ში დიდი სახელი და ავტორიტეტი შეიძინა. ხალილ ჰანემი დიდათ განათლებული და განვითარებული პირია. იგი წევრია ოსმალეთის მოკლე ვადიან პარლამენტისა, რომლის დახურვის შემდეგ გადასახლდა პარიზში და შეიქნა ეხლანდელ სულთანის აბდულ ჰამიდის რეჟიმის შეურიგებელი მტერი.

ახალგაზდა ოსმალთა დასის ორგანო „მეშვერეტ“-სა და სომეხ რევოლიუციონერების მოთავეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა იმის გამო, რომ „მეშვერეტი“ წინაალმდეგია ევროპიელების ოსმალეთის საქმეებში ჩარევისა და სომხები კი უმთავრესად ევროპიელებზე ამყარებენ მთელ თავიანთ იმედს.

ოსმალეთის მთავრობას დიდი იმედი ჰქონდა ამ უთანხმოებისა, ეგონათ, რომ ახალგაზდა ოსმალთა ბელადები—რიზაბეი და ხალილი ჰანემი სტამბოლში დაბრუნდებოდნენ და მთავრობას შეურიგდებოდნენ. მაგრამ, როგორც ხსენებულ წერილიდან სჩანს, მთავრობის ეს მოლოდინი არ გამართლდა. აი რას სწერს ხალილი ჰანე ი „არმენი“-ს რედაქტორს ბ. ჩერაზს:

„თუ მე მტერი ვარ ევროპის კაპიტალისმისა ან უკეთ რომ ვსთქვა, მერკანტილისმისა, ეს იმიტომ, რომ იგი (მერკანტილისმი) მეტად ხელს უწყობს ჩვენზე მოღწეულ ყველა უბედურებას. ოცდა ხუთი, ოცდა ათი წელიწადია, რაც იგი ხელს უშლის ოსმალეთში რეფორმების შემოღებას და მხარს აძლევს ტირანიას. ევროპიელ სახელმწიფოების მონაწილეობა სომხებისა და ჩვენს უბედურე-

ბაში აიხსნება მხოლოდ იმ მატერიალურ ინტერესებით, რომელიც მათ ოსმალეთში აქვთ. ჩვენ შევიქენით მსხვერპლი უკიდურეს მერკანტილისმისა, რომელიც უკანასკნელ სისხლსა გვწოვს; ჩვენ მიგვატოვეს და მიგვცეს უსაძაგლეს რეჟიმის თვითნებობას.

ჩემის წიგნის („ოსმალეთის სულთნები“) თითქმის ყოველ გვერდზე მე ვსწყევლი ფანატისმსა და ვებრძვი მკვლელობას.

შურით და გულ-დაწყვეტით ვიგონებ ჯვაროსანთა ომიანობის დროს, როცა ბრძოლის კეთილ-შობილური მოტივი სარწმუნოების დაცვა იყო. ეხლა რაღა ხდება? რასაკვირველია, მკვლელობას მე უპირატესობას ვერ მივცემ სპეკულიანტების წინაშე: პირველები ღირსი არიან ზიზღისა და მძულვარებისა, მეორენი კი იწვევენ ცოტად თუ ბევრად სასტიკ კრიტიკას. როგორც უნდა იყოს, ჩვენ ეს სპეკულიანტები გვღუპავენ მატერიალურადაც და ზნეობრივადაც. ისინი მხოლოდ თავიანთ ინტერესებს ემსახურებიან და სრულებით არ ახსოვთ ის მოვალეობა, რომელსაც ადებს მათ სიმართლე და კაცთმოყვარეობა.

საუკუნის მთელ მეოთხედის განმავლობაში ევროპის დიპლომატია ყველაფრის ნებას აძლევს ოსმალეთის სულთანს და მის მთავრობას, ოღონდ ევროპიელების ინტერესებს ოსმალეთში ნუ შეეხებიან. დიპლომატების ამ გვარი ქცევა ძვირად დაგვიჯდა ჩვენ: ბევრი სისხლი და კიდევ უფრო მეტი ცრემლი დაიღვარა.

გაიხსენეთ ერთ დიდ სახელმწიფოს მინისტრი, რომელიც დინჯად ეწეოდა სიგარას სომხების გაჟლეტის ამბის მოსმენის დროს და რომელმაც წარბშეკრულად სთქვა: „სულთანი ბატონია თავის სახლში და შეუძლია ის ქნას, რაც სურს“. გაიხსენეთ ჰანოტოს სიტყვები, საფრანგეთის მაღალ ტრიბუნიდან წარმოთქმულნი; იგი ამბობდა, რომ „სულთანი თავის ქვეშევრდომების მამა არის“-ო; გაიხსენეთ რიბოს დამსახურება სულთანის წინაშე და ვილჰელმ მეორის მეგობრობა. ჩემის აზრით, ყველა ეს მერკანტილისმის პირდაპირი შედეგია.

ამათ მიგვიყვანეს ჩვენ ეხლანდელ სატირალ და მართლა აუტანელ მდგომარეობამდე.

სამშობლო ვაჭრობის განვითარებაზე წინადაც ზრუნავდნენ სახელმწიფო მოღვაწენი, მაგრამ ყველაფერს არ სწირავდნენ მას მსხვერპლად. დღეს კი, რაც კი მაღალი და კეთილშობილია, ყველაფერი ითელება და იქელება მოგების გაუმაძღარ სურვილის დაკმაყოფილებისათვის. აბდულ ჰამიდის მთავრობას, რომელმაც საქვეყნოდ თავი მოიჭრა აურაცხელ ავაზაკობითა და მხეცობით, სრულებით დაავიწყდა ისტორიის სამსჯავრო, დაავიწყდა, თუ რას იტყვიან მომავალი თაობანი; ამ მთავრობამ ჩააჩუმა ყველა, ვინც კი ბედავდა გაეხსენებინა მისთვის ის, რაც მას დაავიწყდა.

ოსმალეთში ყოველ სახელმწიფოს თავისი წილი აქვს —ზოგს ნავსადგური, ზოგს ნაპირები, ზოგს რკინის გზები. ერთს აულია მადნეულობის დამუშავების მონოპოლია, მეორეს რომელიმე სხვა დარგი მრეწველობისა. არავინ არ დარჩა მოტყუებული.

და მოხდა რაღაც შეუძლებელი და საშინელი: არც ერთი მკვლელი არ დაისაჯა და უდიდესი მკვლელი დღესაც გამარჯვებულია!...

ასეთ პირობებში განა შემიძლია თანავუგრძნო უცხოელ სპეკულიანტებს, რომელნიც მდიდრდებიან ჩვენ წარსულ სიდიდის, სახელისა და კეთილდღეობის ნანგრევებზე“.

გალიცია (ავსტრია). გალიცია დღემდე პოლიტიკურად და ეკონომიურად მაგნატების (დიდი მემამულე) ხელშია. ამიტომ გალიციელი გლეხი დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაშია და დიდი ხანია აქ სხვა ქვეყნებში (ამერიკაში) გადასახლებამ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა. მაგრამ გადასახლებით სხვაგან სად გაკეთებულა საქმე, რომ გალიციაში გაკეთებულიყოს. ამიტომ ხალხის გულშემატკივრებმა ადგილობრივ დაუწყეს ძებნა გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას.

ერთ ასეთ საშუალებად და დიდის ხნიდან გამოცდილ საშუალებად გაჭირვებულების ორგანიზაციაა. დოკტორი ტრილევსკიც ამ საშუალების განხორციელებას შეუდგა. როგორც სჩანს, ახლად დაწყებული მოძრაობა თანდათან ძლიერდება და მეტ თანაგრძნობას იძენს.

ეხლახან დოკტორ ტრილევსკის მეთაურობით მოხდა კოლომიაში (აღმოსავლეთი გალიცია) გლეხების მეორე კონგრესი. კონგრესზე ტრილევსკი ამტკიცებდა, რომ გალიციაში გლეხების სამ-მეოთხედს აღარ შეუძლია თავი ირჩინოს თავის მიწის შემოსავლით; ამასთან მემამულენი ისეთ მცირე ქირას იძლევიან, რომ გალიციელი გლეხი იძულებულია გამოიკვებოს თავი იმის ნახევრით, რაც მეცნიერებამ აუცილებელ საჭიროებად დაინახა ყოველ ინდივიდისათვის. ამიტომ ტრილევსკის აზრით, ერთად ერთი საშუალება ხსენებულ პირობების გაუმჯობესებისა სოფლელ მუშების ორგანიზაციაა. შეერთებული მუშები ჯერ მშვიდობიან საშუალებას სცდიან—მოელაპარაკებიან მემამულეთ და სთხოვენ მათ უფრო სამართლიან ქირას, და თუ ამან არ გასჭრა, მაშინ გაფიცვაზე და ბოიკოტზე უნდა გადავიდნენ. გლეხების მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუციები: 1) ყოველ სოფლის გლეხები აირჩევენ თავიანთ შორის სასოფლო ქირის (სამუშაო ფასი) კომიტეტს ხუთის წევრისაგან; ორი წევრი სამაზრო კომიტეტშიაც მიიღებს მონაწილეობას; 2) არც ერთ გლეხს არ შეუძლია მიექირაოს მემამულეს კომიტეტის ნებადაურთველად: კომიტეტი ნიშნავს ქირის რაოდენობას მთელის სოფლისათვის; 3) თუ დამქირავებელი ბოროტად მოიხმარს თავის მდგომარეობას და მის მხრივ წინ და წინ (მუშაობამდე) ქირის მიღება მევახშეობის ხასიათი ექნება, ეს ამბავი მაშინვე უნდა შეატყობინონ ბრალმდებელს; 4) თუ მშვიდობიან საშუალებით აღარ იქნება შესაძლებელი სოფლელ მუშის ექსპლოატაციის მოსპობა, სამაზრო კომიტეტი ვალდებულია ენერგიულ, მაგრამ კანონიერ, ზომებს მიმართოს. მეოთხე პუნქტის პირველ რედაქციაში პირდაპირ იყო ნაჩვენები ბოიკოტი და საერთო გაფიცვა, მაგრამ ეს სიტყვები ამოშალეს მთავრობის წარმომადგენლის მოთხოვნით. შემდეგ მიტინგმა მიმართა მთავრობას შემდეგს რეზოლიუციებით: 1) სასოფლო-სამეურნეო ინსპექტორების ინსტიტუტის შემოღების აუცილებელი საჭიროება; ამ ინსტიტუტის მოვალეობა საფაბრიკო ინსპექტორების მოვალეობისებური უნდა იქნეს და 2) სოფლის მუშებზედაც უნდა გავრცელდეს როგორც ავათმყოფობის კასაში მონაწილეობა, ისე უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევაც.

ახალი ამბავი

◆ ამბავი მოვიდა, რომ მაისის დამდეგს სოჩში მოვა მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი **ა. ერმოლოვი.**

სახალხო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი ნ. ა. მამონტოვი გუშინ ტფილისიდან შემახაში გაემგზავრა, ხოლო იქიდან პეტერბურგს დაბრუნდება.

◆ ჩვენი მეცნიერ-მოღვაწე **ალ. ს. ხახანაშვილი** ამ ზაფხულს სამეცნიერო კვლევაძიებისათვის ათონსა და კონსტანტინეპოლს მიემგზავრება.

◆ დღეს საღამოს ტფ. სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია **კერძო კრება** პირველ საარჩევანო რაიონის **ამომრჩევლებისა** ხმოსანთა მომავალ არჩევნების შესახებ მოსალაპარაკებლადა და კანდიდატების სიის შესადგენად.

◆ დღეს სათავ.-აზნ. დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე დანიშნულია საგანგებო კრება **ბორჩალოს მაზრის** თავად-აზნაურებისა.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსი ივანოვსკი და განყოფილებათა უფროსნი, რომელნიც **სპარსეთის შაჰის მისაგებებლად** წავიდენ ბაქოში, ხვალ ტფილისში დაბრუნდებიან.

◆ მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დაავალა **ტფილისის საბაღოსნო სკოლის** ვალი გაესტუმრებინა, ზოგიერთი შენობები დაემთავრებინა და, საზოგადოდ, სკოლის მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამ დღეებში შეატყობინა მიწად მოქმედების დეპარტამენტს, თუ როგორ შეასრულა ხსენებული დავალება. საზოგადოებას საბაღოსნო სკოლის შენობების მოსაწყობადა და მთლად სკოლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაუხარჯავს 12,360 მ.; იმ 10,000 მანეთიდან, რომელიც საბაღოსნო სკოლას ჰქონდა ვალად სამეურნეო საზოგადოებას ვადაუხდია 4000 მან.; ასე რომ ვალი სკოლაზე დარჩენილა კიდევ 6,000 მანეთი.

◆ დღეს, 28 აპრილს, ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულებით, რუსეთის გამოჩენილ პოეტის **ჟუკოვსკის სახელის პატივსაცემლად** სახაზინო თეატრში გამართული იქნება სალიტერატურო დილა საქალაქო სკოლების მოსწავლეთათვის.

◆ ტფილისის **სასულიერო სემინარიაში** ეს რამდენიმე დღეა ეგზამენები დაიწყო. ეგზამენები დასრულდება მაისის ბოლო-რიცხვებში.

◆ ერევნის გუბერნატორმა წარმოუდგინა მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წარმომადგენელს კავკასიაში **საბაღოსნო პროექტი სკოლისა,** რომელსაც ერევანში აარსებენ. ამ პროექტით ყოველ-წლიური ხარჯი სკოლისა იქნება 17,500 მან. როგორც ტფილისში, სკოლა სამკლასიანი იქნება, 145 ყმაწვილთათვის. სკოლისთვის დათმობილია ქალაქის ბაღი. სკოლის მოწყობას პირველად მოუნდება 27,000 მან., აქედან 3,000 მან. ქალაქი კისრულობს, დანარჩენს შეადგენს კერძო შემოწირულებანი; სხვათა შორის, ხელის მოწერის გამართვით ქალაქის თავმა შეაგროვა 5,000 მან.

◆ პარასკევს, 26 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, სხდომა ჰქონდა **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს. სხვათა შორის, საბჭომ განიხილა საზოგადოებასთან დაარსებულ სასტატისტიკო ბიუროს კომიტეტის გარდაწყვეტილება, რომლის თანახმად საზოგადოების ბიუროს სტატისტიკოსად მიწვეულ იქმნა ბ-ნ ფ. გოგიჩაიშვილი. საბჭომ დაამტკიცა კომიტეტის დადგენილება. სხვა უმნიშვნელო საქმეების განხილვის შემდეგ საბჭომ გარდასწყვიტა დანიშნოს საზოგადო კრება სამეურნეო საზოგადოების წევრთა პარასკევს, 3 მაისს, საღამოს; ამ სხდომაზედ კრებას, სხვათა შორის, განსახილველად წარედგინება ბ-ნ ფირალოვის მოხსენება რუსეთის საოჯახო მრეწველთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებათა შესახებ.

◆ წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენელი საზოგადოების ტფილისის საოლქო მმართველობა ჰმართავს ქალაქის მცხოვრებთა და პოლიციის მოხელე-მსახურთათვის **კითხვებს შუნდლოვანის სურათებით,** რომლით განმარტავენ წყალში ბანაობის წესებსა და დახრჩობისაგან გადარჩენის საშუალებას. კითხვები გაიმართება: 28 აპრილს და 26 მაისს მოლაკანთა სამლოცველო სახლში დესიმონოვის მოედანზე, 5 მაისს და 3 ივნისს მეორე საქალაქო სასწავლებელში ოლგას ქუჩაზე, 12 მაისს და 9 ივნისს საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში საეკზარხოსო მოედანზე და 19 მაისს სიფხიზლის საზოგადოების თეატრში ვოკზალის ახლო. იკითხავენ ნაშუადღევის 1-ლ საათიდან 3-მდე.

◆ დღეს **ქართულ თეატრში** დანიშნულია დაკლებულის ფასებით წარმოდგენა გუცკოვის ცნობილის დრამის „ურიელ აკოსტასი“. აკოსტას როლს ასრულებს ჩვენი ნიჭიერი არტისტი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

◆ ხვალ, 29 აპრილს, მოხდება მორიგი კრება ტფილისის **საბჭოსი,** რომელზედაც განსახილველად დანიშნულია 14 ძველი და ახალი საქმეები.

◆ შარშან ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ტფილისში თავიანთ სადგომში **მოკლეს მარია კოსაკოვსკაია და დასჭრეს ექიმი ვოინო.** ამის გამო შეიპყრეს ვოინოსთან მზარეულად ნამყოფი იბრაჰიმ-იბრაჰიმოღლი, 22 წლისა, რომელსაც მოპარული ფული აღმოაჩნდა. ამ საქმის გამოძიება დაასრულეს და საქმე ბრალმდებელმა ოლქის სასამართლოს ჩააბარა; სასამართლომ საქმე ბრალდებულს გადასცა.

◆ გუშინ, 27 აპრილს, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო **საყურადღებო საქმე,** რომლითაც გურია—სამეგრელოს ეპარქიის ბლაღოჩინ მღვდელს პახუმ თედორეს ძე კილურაძეს ბრალდება შტატს გარეშე მყოფის მოხუცებულ მღვდლის ალექსი მაქსიმეს ძის ჯაშის მოკვლა. ბევრი საქმეებისა გამო ამ საქმის განხილვა პალატამ გუშინ ვერ მოასწრო და, ბრალდებულის დამცველის ბ. ოპოჩინინის თხოვნის თანახმად, გადასდო ხვალ, 29 აპრილის დილის 10 საათისათვის.

◆ არსენალის აღმართზე თავის სადგომში ნახეს ბ. **იაროშევსკი სასიკვდილოდ დაჭრილი** ორის ტყვიით. დაჭრილი მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც ნახევარ საათის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ მოგვყავს კიდევ რამდენიმე **საინტერესო ცნობა** ქალაქის მიმდინარე 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვიდან: სახალხო განათლებაზე გადაიდება 100,434 მან., 1901 წელთან შედარებით 21,344 მანათით მეტი; ქალაქის უძრავ მამულების შესანახად 6175 მან.; ვალების გასასტუმრებლად 317,121 მან.; სხვა-და-სხვა თანხების შესავსებლადა და შესადგენად 80,000 მან. და სხვა-და-სხვა საჭიროებათათვის 17,695 მან.

◆ ამ დღეებში ლაგოდეხიდან მოდენილან ეკიპაჟით რამდენიმე მგზავრი, მათ შორის ერთი პორუჩიკი დულკოვი. გზაზე დახვედრიან შეიარაღებული **ავაზაკები**—ლეკები და ფული მოუთხოვნიათ მგზავრებისათვის. ოფიცერი დიდად აუღელვებია ამგვარ თავხედობას და ჯიბიდან რევოლვერი ამოუღია. ეს რომ დაუნახავთ, ლეკებს თოფები დაუხლიათ და სასიკვდილოდ დაუჭრიათ ოფიცერი. შემდეგ ყველანი გაუცარცვავთ და მიმალულან. ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, ავაზაკების საძებნელად წასულა საერობო დარაჯის ინსპექტორი და ამბობენ, ერთი ლეკი შეუპყრიათ კიდეც, რომელიც ოფიცრისაგან ყოფილა დაჭრილი.

◆ ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობამ აცნობა ტფილისის სახაზინო პალატას, რომ **ქალაქს** კუკიასა, ავლაბარსა და ნავთლუღში **ეკუთვნის** სულ 246 დესიატინა და 1870 ოთხ. კუთ- საჟენი მიწა.

◆ დიდი უბედურება მოუვიდა სახელმწიფო ქონებათა საქმეების დამცველს ბ. **დუევიც-კოვაჩს.** ის და რამდენიმე მოხელე მოდიოდნენ სიღნაღის მაზრიდან, სადაც ისინი დაესწრნენ ნავთიანი ალაგის კურთხევას და გახსნას, რომელიც საწარმოებლად აქვს აღებული რუსეთის ვაჭრებს აშაზას და სხვებს; გზა გაფუჭებული იყო და ეტლები დიდის წვალებით მოდიოდნენ. მგზავრები მიდიოდნენ სადგურ ფოილოსკენ, რომ იქიდან რკინის გზით ჩამოსულიყვნენ ქალაქში. ცუდი გზების გამო, ყველა მგზავრები ეტლებიდან გადმოვიდნენ, მხოლოდ ეტლში კოვაჩი დარჩა. ცოტა რომ გაიარეს, ერთს მოსახვევში ეტლი ხრამში გადაიჩეხა და მთელი ბარგი და ეტლი კოვაჩს ზედ დააწვა. მალე მიეშველნენ, ამოიყვანეს კოვაჩი, მაგრამ სულ დასახიჩრებული, თავ-პირ დამტვრეული, ტან-დაჟეჟილი და თვალ-გამოთხრილი დაშავებული ტფილისში ჩამოიყვანეს.

◆ ამას წინად აღნიშნული გვქონდა, რომ დაუსწრებელის განჩინებით ტფ. მომრიგებელმა მოსამართლემ მიუსაჯა დანდუროვს 1000 მან კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსაგან, მაშინ როდესაც ეს ფულები მას ერგებოდა კავკასიის გამოფენის სათეატრო კომისიისაგან. ეს საქმე მეორედ განსახილველად დანიშნულია ხვალ, 29 აპრილს; სამეურნეო საზოგადოების ინტერესებს დაიცავს ნაფიცი ვექილი ი. ს. ჯაბადარი.

◆ გუშინ, 27 აპრილს, სხდომა ჰქონდა ქალაქის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა 13 მამულის ხელ-ახლავ დაფასების შესახებ საჩივრების განხილვა. კომისიამ ეს საჩივრები, გარდა ერთისა, უყურადღებოდ დასტოვა.

◆ შორაპნის მაზრის სოფ. ძოდიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში, რაღაც მიზეზისა გამო, ამ სოფლის მცხოვრებს აზნ. იოსებ ბაქრაძეს (ბაჩუყაშვილს) ჩხუბი მოსვლია თავის მეზობლებთან, რომლის დროსაც ბაქრაძე შეუბრალებლად კეტებით მოუზბეგვიათ. დამნაშავენი უკვე დაუპატიმრებიათ. გამოძიება საწარმოებას.

◆ სადგურ რიონიდან იუწყებიან, რომ 26 აპრილს ცეცხლი გაუჩნდა ქუთაისიდან მოსულს სავსე ვაგონს. ვაგონი და საქონელი დაიწვა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ იციან.

◆ სადგურ მალაიდან იტყობინებიან, რომ რელსებიდან გადმოვარდა № 5 მატარებლის ლოკო-

მოტივი და ბარგის ვაგონი, რის გამოც მატარებლები მოსავლელი გზით დადიან.

◆ ამას წინად კალიუჩი-ბალკის მცხოვრებლებმა სთხოვეს ტფილისის გუბერნატორს, რომ ამ ბალკას სახელად დარქმეოდა თეოდოიის ბალკა. გუბერნატორის წინადადებით ეს საკითხი განიხილა ქალაქის გამგეობამ გუშინწინ და დაადგინა: კალიუჩი ბალკას ეწოდოს თეოდოსიის ბალკა.

ქუთაისის ახალი ამბები

~ ჩვენ შევიტყეთ, რომ თავადს კონსტანტინე ივანეს ძეს მუხრანსკის მოუსურვებია ქუთაისში წყლის მილის გამმართველ ამხანაგობის წევრად შესვლა. თავადი ამ ამხანაგობის საკმაო პაებს იძენს. განზრახვა აქვთ მაისის პირველ რიცხვებში შეუდგნენ წყლის მილის გასამართავად მუშაობას.

~ ქუთაისის პოლიცმეისტერს შემდეგი სავალდებულო დადგენილება გამოუცხადებია ველოსიპედით მოსიარულეთათვის:

1) ველოსიპედით სიარული აკრძალულია ტფილისისა და ნემეცების ქუჩებზე, რადგან ეს ქუჩები ვიწროა და ეტლებისა და ხალხის მოძრაობა ხშირია.

2) ველოსიპედით სიარული 15 წლისაზე უფრო ახალ-გაზდას არ შეუძლია.

3) ჩქარა სიარული ქალაქის ქუჩებში ყველგან და ყოველთვის აკრძალულია.

4) ველოსიპედის პატრონი მოვალეა წინ, ველოსიპედზე ბუკიან, ზარი ჰქონდეს ხალხის გასაფრთხილებლად გამართული, ღამით-კი წითელი ფანარი ანთებული.

5) ეტლებისა და ცხენოსნების შეხვედრის დროს უნდა მარჯვენა მხარეს აუაროს გვერდი ველოსიპედით მოსიარულემ; თუ შენიშნა, რომ ცხენი ფრთხის, უნდა საჩქაროდ ველოსიპედიდან ჩამოხტეს და ველოსიპედი ამოიფაროს.

6) ვინც ამ წესებს არ აასრულებს, პასუხის გებაში მიეცემიან,

~ ბავშთა სამზრუნველო საზოგადოებამ 23 აპრილს საბავშვო სეირნობა გამართა ქალაქის ბაღში. ბაღი ლამაზად მორთული იყო ფერადის ბაირაღებით და ორი გუნდი სამხედრო მუსიკისა ხალხს ართობდა. ბაღი სავსე იყო მოსეირნე ხალხით, ბავშვი ხუთასზე მეტი იქნებოდა. ბაღში შესასვლელ ფასს დიდებს ახდევინებდნენ თითო აბაზს, ბავშვებს კი—ორ შაურს.

ბავშვებისათვის გამართული იყო რუსული „გორკა“, რომელზედაც პატარები დასრიალებდნენ. თითო გზის სრიალზედ ერთ კაპეიკს ახდევინებდნენ.

გარდა ამისა გამართული იყო ხუთიოდე პატარ-პატარა ურემი, რომელსაც ჩოჩრები ატარებდნენ. აქეთ-იქით თითო გატარებაზედ შაურს ახდევინებდნენ.

სხვა გასართობი ბავშვებს არა ჰქონიათ-რა, თუმცა გამოცხადებული სხვა რამეც იყო.

პატარა მოსეირნენი მხიარულად ატარებდნენ დროს და, როგორც ყოველთვის, ამ დღესაც კარგად ნასიამოვნები დარჩნენ. მთელ ბაღში გაუწყნარებელი ჟრიამული და სიცილ-ხარხარი ისმოდა: ერთგან ბურთაობდნენ, მეორეგან ცეკვავდნენ და სხვა.

როგორც გვითხრეს, ბ-ნ ოცხელის პანსიონის ბაღშიაც დაიწყება საბავშვო გასართობები ხუთშაბათობითაო.

~ ქუთათურები უფულობას სჩივიან. არ ვიცით, რომელ საქმისათვის უძნელდებათ ფულის გამოღება, მხოლოდ მაქსის ცირკი კარგა ბლომა ფულს ჰკრებავს ქუთათურებისაგან, რადგან მუდამ ღამე ცირკში ხალხი ბლომად არის.

21 აპრილს „საოპერო ამხანაგობამ“ დაასრულა თავისი წარმოდგენები. სულ ექვსი წარმოდგენა ჰქონდათ და, როგორც გვითხრეს, სამასი თუმანი აუღია ამხანაგობას... უფულობას-კი ყოველი ქუთათური სჩივის!..

პრესსა

მომავალ მაისში ორმოცი წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც სომხეთა გამოჩენილი მწერალი და მგოსანი ყაზაროს აღაიანი მწერლობაში მოღვაწეობს. გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ში ტ. ფირუმიანი სწერს, რომ ყაზაროს აღაიანმა განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინა იმ ლექსებისა და მოთხრობების წერაში, რომელსაც უფრო მოზარდი თაობა ეწაფებოდა. ორმოცი წლის განმავლობაში ამ მხცოვან მოღვაწეს ამგვარ მწერლობაში ტოლი არა ჰყოლია სომხეთა მწერლებში და ამის ლექსებს, პოემებს, ზღაპრებს, თუ მოთხრობებს სომხეთა ბავშვები და ახალგაზდობა მეტის აღტაცებით ჰკითხულობდა, რადგან მეტის სინამდვილით, წრფელის გულით და მშვენიერის ენით სწერდა ყველა ამას პატივცემული მოღვაწე, რომლის ნიჭიერი და ნაყოფიერი შრომა საუკეთესო საუნჯედ ითვლება სომხეთა მწერლობაში.

მწერლობის გარდა ყაზაროს აღაიანი სხვა გზითაც ახლოს მდგარა იმისთვის საყვარელ ახალგაზდობასთან: ოცდა—ათ წელიწადზე მეტი მასწავლებლად ყოფილა სომხეთა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში და ამ ჟამადაც კერძო გაკვეთილებით ირჩენს თურმე თავს.

ყაზაროს აღაიანის პატივის მცემელ სომეხთ განუზრახავთ ორმოცის წლის მოღვაწეობა ამ პატიოსანის მშრომლისა იდღესასწაულონ.

ვუსურვებთ ამ წადილის სისრულეში მოყვანას.

რუსეთის ქრონიკა

∝ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუბე პეტერბურგში ჩამოვა 9 მაისს. იმავე დღეს მას წარუდგება ქალაქის დეპუტაცია. საფრანგეთის ზღვაოსნებს გაუმასპინძლდებიან კრონშტადტში, რადგან საფრანგეთის დიდი გემები ამ ჟამად ნევაში ვერ შემოვლენ.

∝ უწმ. სინოდმა კვლავ განმარტა, რომ არც ერთ საეპარქიო სამმართველოში უსახელო დაბეზღება-წერილებს ყურადღებას არ მიაქცევენო.

∝ განზრახულია წელს შემოდგომაზე ოდესაში მოიწვიონ ჰიდროლოგიისა და ბალნეოლოგიის მოღვაწეთა კრება.

∝ 16 აპრილს პოლტავაში მივიდნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი ფონ-პლევე, მისი შვილი, მისი ადიუტანტი პოლკოვნიკი ზამიატინი, მისი კანცელარიის მმართველი არბუზოვი, კიევის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი გენ.-მაიორი ნოვიცკი, ხარკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორი ა. ა. ლოპუხინი და ჟანდარმთა სამმართველოს რამდენიმე მოხელე. მინისტრმა სამი დღე დაჰყო პოლტავაში და სულ სადგურზე იყო. მინისტრმა მიიღო გუბერნიის მმართველი, რომელსაც ორი საათი ესაუბრა; მეორე დღეს მიიღო და დიდხანს ესაუბრა საგუბერნიო ერობის გამგეობის წევრთ და სტატისტიკს. მესამე დღეს ყველა ამ მოხელეებთან მინისტრს სხდომა ჰქონდა პოლტავის გუბერნიის გლეხთა მდგომარეობის შესახებ. ამავე საგანზე სათათბიროდ მინისტრმა სამჯერ მიიღო საერობო გამგეობის წევრი ვ. ი. გოლოვინი. 18 აპრილს მინისტრი პეტერბურგს წავიდა.

∝ დიდი ხანია, რაც ზოგიერთ ერობათ შუამდგომლობა აღუძრავთ ნება მისცენ მათ საერობო გამგეობა-დაწესებულებებში ქალები მიიღონ მსახურებად. ახლა შინაგან საქმეთა სამინისტროს უარ-უყვია ყველა ეს შუამდგომლობანი.

ქათაისის გუბერნიის თავად-აზნაუთა კრება

(როგორ მოიხმაროს თავად-აზნ. უმაღლესად ნაბოძები ფული?—საკითხი სათავად-აზნ. სკოლაში მომხდარ ინციდენტების გამო)

25 აპრილს თავად-აზნაურთა საზოგადო კრება გაიხსნა $10^1/_2$ საათზე დილით. თავმჯდომარეობდა გუბერნიის წინამძღოლი. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა დღის კრების ოქმი. შემდეგ წაკითხულ იქნა სხვადა-სხვა მაზრებისა და კერძო პირთაგან წარმოდგენილი პროექტები იმის შესახებ, თუ რას და როგორ მოხმარდეს უმაღლესად ნაბოძები 20,000 მანეთი. ამათში საყურადღებო იყო შემდეგი პროექტები: ქუთაისში სააზნაურო სავაჟო ინსტიტუტის დაარსების შესახებ, შესახებ თავშესაფარ-პანსიონის დაარსებისა, მთელი ფულით სტიპენდიების დანიშვნისა, მოსწავლეთათვის საზოგადო საცხოვრებლის დაარსებისა და სხ.

ნ. თაყაიშვილი: „ბატონებო! დღეს ბევრმა ქართველმა თავად-აზნაურმა ბოდიში მოიხადა, ქართულად აზრის გამოთქმა არ შემიძლიაო. დედა ენა საფუძვლად უნდა დაედოს ყოველგვარ სწავლას, თუ გვინდა, რომ ეს სწავლა ბუნებრივი იყოს და არა ძალდატანებული. ჩემი ფიქრით, თუ მთლად გადაგვარება არ გვინდა, საჭიროა ისეთი სასწავლებელი დავიარსოთ, სადაც შეგვეძლება ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლა“. ორატორი ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

თ. აკაკი წერეთელი: „ბატონებო! ბევრგვარი წინადადება მოვისმინე იმის შესახებ, თუ რას მოვახმაროთ უმაღლესად ნაბოძები 20 ათასი მანეთი. რომ შესაძლებელი იყოს, მე არც ერთი ამ წინადადების წინააღმდეგი არ ვიქნებოდი: ყველას აქვს მოსაწონი მხარეები; მაგრამ ამ შემთხვევაში მე ვერც ერთს ვერ შევრიგებივარ. წარმოვიდგინოთ, ჩვენს წინ დგას შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი ღატაკი, რომელსაც ყველაფერში სჭირია დახმარება. რასაკვირველია, იმას არა აჯობებს, რომ ყველაფერში დავეხმაროთ ამ ღატაკს, მაგრამ, თუ ეს არ შეგვიძლია, პირველად ისეთი დახმარება უნდა მივცეთ, რაც ყველაზედ უუსაჭიროესია, ასეთი დახმარება იქნება სასმელ-საჭმელის მიწოდება, რომელიც ასაზრდოებს ადამიანს და უგრძელებს მას სიცოცხლეს. პირველად რომ თავზე ქუდი დავახუროთ, ან ფეხებზე ქალამნები ჩავაცვათ, ეს ვერ დაიფარავს მას სიკვდილისაგან. ჩვენ რომ ყველა ის ფული შეგვენახა, რაც ჩვენი უთაურობით უსარგებლოდ დავფლანგეთ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, შესაძლებელი იქნებოდა დიდი რამ საქმე გაგვეკეთებია და ყოველგვარი ჩვენი მოთხოვნილება დაგვეკმაყოფილებია; მაგრამ, როდესაც მხოლოდ ყოველწლიური 20 ათასი მანეთი შეადგენს ამ ჟამად საკამათო, სადავო საგანს, მით ყველაფრის დაკმაყოფილება არ შეიძლება. ამიტომ უმჯობესი იქნება ისეთ რამეს მოხმარდეს ეს თანხა, რაც მიუცილებელი საჭიროა, რის გადადებაც შეუძლებელია. ასეთი „რამე“ კი, ჩემი ფიქრით, ქალების აღზრდაა. თუ ჩვენმა პატარა სამშობლომ ათასი წლების განმავლობაში გაუძლო ურიცხვ მტერთა შემოსევას და ქედი არავის მოუხარა, ეს იყო მარტო ჩვენი მამაკაცების გმირობით კი არა, არამედ მათი დედების წყალობით, რომელნიც ძუძუსთან ერთად აწოვებდენ შვილებს სამშობლოს სიყვარულს, ძმობას, ერთობას. მართალია, ჩვენი ძველი დედები არ იყვნენ იმდენათ განვითარებულნი, როგორც ეხლანდელი ქალები, არ იცოდენ მათ არც რუსული, არც ფრანგული, არც „ტრეპაკა“, არც კადრილი, არ იცოდენ, სადმე ამერიკაში ან ავსტრალიაში რა მდინარეები ჩაჩხრიალებენ, მაგრამ იცოდენ სამშობლოს ავი და კარგი, იცოდენ დედაენა, იცოდნენ ქრა-კერვა, მზარეულობა; იცოდენ შვილების აღზრდა როგორც ფიზიკურათ, ისე ზნეობრივათ და გონებრივად. მამაკაცს მაშინ არც ეცალა ამათთვის: ის გარეშე მტრისაგან იცავდა სამშობლოს; მთელი ოჯახის გამგე კი იყო დედაკაცი. ხანდისხან ეს დედაკაცი არც კი სჯერდებოდა ოჯახურ შრომას და ხმალით ხელში მიუძღვებოდა მტრის წინააღმდეგ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ჯარს და თავისი თავგანწირვით ამხნევებდა და მაგალითს აძლევდა მას. ერთი სიტყვით, ყველგან და ყველაფერში ქალი, ქალი და ქალი იყო. ბევრი შარავანდედით მოსილი მეფე, ბევრი ვახტანგი, ბაგრატი, გიორგი და დავითი ჰყოლია საქართველოს, მაგრამ ქალმა, თამარ მეფემ თავისი შარავანდედით ყველა ესენი დაფარა. ჩვენმა ისტორიამ არა ერთი და ორი დედაკაცი იცის, რომელთაც ჩვენი საუკეთესო მამაკაცებიც ვერ შეედრებოდნენ, მაგრამ ეხლა ჩვენი ქალებიც გადაგვარდნენ და ოჯახიც გაგვიხუნდა. ჩვენ გვეჭირვება დედები, გვეჭირვება დიასახლისები. რათ მინდა ოჯახში ისეთი ქალი, რომელიც ლობიოს მუხუდოსაგან ვერ არჩევს, რომელსაც ერთი ნემსის ამობნევაც არ შეუძლია და, თუ შეუძლია, კიდეც თაკილობს. წინეთ, ვისიც ძლიერ შეურაცხყოფა უნდოდათ, გარეწარს უწოდებდნენ; ჩვენ კი ეხლა ყველანი გარეწარნი ვართ უდედოთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ დავიარსოთ ისეთი სასწავლებელი, სადაც შეიძლებოდეს ნამდვილი დედისა და ცოლის აღზრდა, რომლებსაც შეეძლებათ თვითონვე აღზარდონ თავისი შვილები იმდენად მაინც, რომ უფრო მაღალ სასწავლებლებში მიაღებინონ; მხოლოდ სწავლა კი ბუნებრივ ნიადაგზედ უნდა იყოს დამყარებული. იტყვიან, ვითომ ეხლანდელი დედებიც ამზადებენ შვილებს სასწავლებელში შესაყვანათო, მაგრამ, როგორი მომზადებულიც ვყოფილვართ, ეს დღესვე აღმოჩნდა ამ კრებაზე, რომ ქართულად ორი სიტყვის თქმა ვერ მოვახერხეთ. უცხო ენაზე ლაპარაკის დროს რომ ერთი გრამატიკული შეცდომა გავუშვათ, ისე შეგვრცხვება, თითქოს მომაკვდინებელი ცოდვა ჩაგვედინოს, ქართულის უცოდინარობას კი ისე ვუყურებთ, თითქო ეს მეცნიერების მოთხოვნილება იყოს. თუ გადაგვარება არ გვინდა, დავუარსოთ ქალებს ისეთი დაბალი სასწავლებელი, რომელიც მოგვიმზადებს ნამდვილ დედებს და დიასახლისებს“.

ს. დ. ჯაფარიძე აყენებს დღესვე გადასაწყვეტად ორ კითხვას: სტიპენდიების დაარსებას მოხმარდეს ფული, თუ ახალი სასწავლებლის გახსნასო.

მასვე ეთანხმება **ს. თ. ხუნდაძე**, რომელიც იწონებს აკაკის სიტყვას, მაგრამ უსაჭიროესად მაინც სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას სთვლის.

ს. ა. ქვარიანი იწონებს თავ. აკაკისა და ს. ხუნდაძის წინადადებას, მაგრამ უპირატესობას აძლევს ქალთა სკოლის დარსებას იმ მოსაზრებით, რომ სამეურნეო სწავლას ეხლა ჩვენი ხალხი თავისითაც ეტანება, მთავრობაც დახმარებას უწევს და, გარდა ამისა, ქალთა სკოლაში მეურნეობასა და მეოჯახეობასაც ექნება ყურადღება მიქცეულიო. „ქალი არის ოჯახის ღვთაება, ქალი არის კერას ღმერთა და, თუ ოჯახში ხეირიანი დედა გვეყოლება‘ შვილებიც კარგი გამოგვეზრდებაო“.

თავმჯდომარე ყუთს უდგამს ორ კითხვას, სტიპენდიების დაარსებას მოხმარდეს ფული, თუ ახალი სკოლის გახსნასო; ხოლო რა ტიპის სკოლა უნდა გაიხსნას, ეს შემდეგში გამოვარკვიოთო. საზოგადოება თხოულობს ეს კითხვა მეორე დღემდის გადაიდოს, რაც შეწყნარებულ იქმნა.

ამას შემდეგ **ს. დ. ჯაფარიძე** კითხულობს თავის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა უკანონოთ მოიქცა ქუთაისის პოლიცმეისტერი ბ-ნი ლისოვსკი 5 აპრილს ქუთაისის სააზნაურო სკოლაში გამართულ სალიტერატურო საღამოზე: „მის მაგივრად, რომ ის, თუ რამ უწესოებას ხედავდა, ვალდებული იყო შეედგინა ოქმი და სამართალში მიეცა დამნაშავე, მიუხედავათ იმისა, რომ საღამოზე მიწვეული იყო უმაღლესი კარის კამერჰერი ს. ნ. ლორთქიფანიძე, რომლის იქ ყოფნა სრულიად საკმაო თავდები იყო იმის, რომ იქ არავითარ აკრძალულს ადგილი არ ჰქონდა,—უბრძანებს სკოლის მმართველს დაუყოვნებლივ დაითხოვოს საზოგადოება, რომელიც შესდგებოდა მხოლოდ მოწაფეების, მათი მშობლების და ნათესავებისაგან, და ამით ხელს უშლის ისეთ კეთილ საქმეს, რომელიც სკოლისაკენ იზიდავს მოწაფეებსა და მათ მშობელ-ნათესავთო“. მოხსენების ავტორი თხოვს საზოგადოებას, რომ აღძრულ იქნეს საჩივარი როგორც ბ. ლისოვსკის უკანონო საქციელზედ, ისე „Черноморскій Вѣстник.“-ის ცილის წამებაზე.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ის დ. ა. ლორთქიფანიძესა და დ. ნ. ბაქრაძესთან ერთად უკვე იყვნენ ბ. გუბერნატორთან, რომელსაც მოახსენეს საქმის გარემოება, და მან აღუთქვა, რომ მოახდენს ამ საქმის შესახებ ფიცხელ გამოძიებას და, თუ რამ უკანონობას აღმოაჩენს, სასტიკად დასჯის დამნაშავეს; რაც შეეხება „Черноморскій Вѣстник.“-ის ცილის წამებას, ამის შესახებ უთქვამს ბ. გუბერნატორს, რედაქტორს საყვედური გამოეცხადება და აღეკრძალება ამგვარ დაუსაბუთებელ წერილების ბეჭდვაო.

ბოლოს კენჭი უყარეს კითხვას, აღძრან თუ არა საჩივარი პოლიცმეისტრის წინააღმდეგ. აღმოჩნდა: საჩივრის მომხრე იყო 73, წინააღმდეგი—არავინ. საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება ასეთ შედეგს. სხდომა გადაიდო 26 აპრილს 10 საათისათვის.

დონ-ვალიანი

უცხოეთის წვრილი ამბები

ვნება კორსეტის ხმარებისაგან. დიდი ხანია ფიზიოლოგები, ექიმები და ყველა კეთილ-გონიერი ხალხი წინააღმდეგია ქალებისაგან კორსეტის ხმარებისა, რომელიც სხეულის სიმრთელის დამღუპველია.

კელნის ექიმმა კრამერმა შეიტანა ექიმთა საზოგადოებაში დიდად საგულისხმიერო მოხსენება იმ ვნე-

ბის შესახებ, რომელიც კორსეტის ხმარებას მოაქვს. ექიმმა მოიყვანა გამოჩენილი ექიმის ტირშის აზრი აწინდელი ქალების სილამაზეზე და აუწყა საზოგადოებას ზოგიერთი გამოკვლევანი ამ მეცნიერისა. ბევრს მოსწონს ქალის წვრილი წელი და ეს მოწონება რამდენიმე საუკუნეა არსებობს. უბრალოდ რომ შევხედოთ საგანს, წვრილი წელი ბუნების წინააღმდეგიც არის და დამამახინჯებელიც, მაგრამ ქალებს მაინც მოსწონთ წვრილი წელი და ამით აფასებენ სხეულის აგებულობის სილამაზეს, ის კი არ იციან, რომ ეს სიმახინჯე მოგონებულია ქალების „მოდების“ გამომგონთაგან.

ნამდვილად არ იციან, როდის შემოიღეს კორსეტის ხმარება. ზოგნი ფიქრობენ, რომ კორსეტის ხმარება შემოიღო ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა, რომელსაც უნდოდა, ამით თავისი კუზი დაემალა; სხვები კიდევ ამტკიცებენ, რომ კორსეტის შემომღებია დედოფალი ეკატერინე მედიჩი, რომლის დროსაც საფრანგეთში პირველად გაჩნდა კორსეტი.

იმ ვნების გამოსარკვევად, რომელიც კორსეტს მოაქვს, ექიმმა ტირშმა გამოიგონა ერთი აპარატი, რომელიც ორად გაყოფილის ტყავის ქამრისაგან შესდგება; ამ ქამრის შუა ერთგვარი იარაღი გააკეთა, რომელიც ცხადად აღნიშნავს, რა ემართებათ სხეულის შინაგან ნაწილებს, როცა ამ ქამარს მოიჭერენ, როგორც კორსეტს.

გარდა თირკმლებისა, ადამიანის არც ერთი შიგნეული მთლად მიხორცებული არ არის ერთს ალაგს, ასე რომ, როდესაც კორსეტს მოიჭერენ, ისინი ადვილად იცვლიან ხოლმე თავის წინანდელს ალაგს. ღვიძლი, ეს ყველაზე საჭირო და უდიდესი შიგნეული, მარჯვენა გვერდ ქვეშ არის მიკრული, და უპირველეს ყოვლისა ამაზე იჩენს გავლენას კორსეტი. ღვიძლი, კორსეტის შემოჭერის დროს, მობრუნდება ხოლმე ისე, რომ იმის ზემო ნაწილი წინ წამოიწევს, ჯვით ღვიძლის ბადე შეიკუმშება და დაისერება. ღვიძლთან ერთად ძალა ადგება ნაღვლის ბუშტსაც, რის გამოც სტომაქში ათას გვარი ავადმყოფობა ჩნდება. ხოლო იმის გამო, რომ ღვიძლი შეერთებულია სისხლის სასვლელ ძარღვებთან, აქაც სხვა და სხვა ავადმყოფობა ჩნდება. კორსეტი აგრეთვე კუჭსაც აწვება, რომელიც ამის გამო ძირს დადის და თავის ფორმასაც კი შეიცვლის ხოლმე. ცხადია, კუჭი რომ თავის ალაგიდან შეინძრევა, ამასაც თავის ცუდი შედეგი მოსდევს. კორსეტისავე წყალობით ნაწლევებიც ძირს იწევენ, რის გამოც ძალიან სუსტად მოქმედებენ და ტკივილებს ჰგვრიან ადამიანს... რაც ემართებათ ხოლმე ქალებს, რომლებიც მაგრა შემოიჭერენ კორსეტს.

არა ნაკლებ ზიანდებიან კორსეტისაგან ფილტვები. როდესაც გულზე კორსეტს იჭერენ, ფილტვებს თავისუფლად მოქმედება არ შეუძლიან, რადგანაც იკუმშებიან, რასაც აგრეთვე დამღუპველი შედეგი მოსდევს. უფრო დამღუპველი გავლენა აქვს კორსეტს ზურგის მუსკულებზე, რომელთაც მთელი ტანი უჭირავთ. ეს მუსკულები შემოჭერილ კორსეტის წყალობით სრულიად არ მოქმედობენ, უქმდებიან და ბოლოს სულ ველარ ასრულებენ თავის დანიშნულებას.

ექიმ ტირშის აზრით, ჰიგიენური კორსეტი ასეთი უნდა იყოს: სიმაღლით არა უმეტეს 25-30 სანტიმეტრისა; იმაში არც ძვლის და არც რკინის ჩხირები არ უნდა იყოს; ზორტები და რეზინი სულ არ უნდა ჰქონდეს და, რაც თავი და თავია, ჰაერი თავისუფლად უნდა გადიოდეს კორსეტში.

ვითომ ამ ჭკვიანურს და სასარგებლო დარიგებას ქალები ყურადღებას მიაქცევენ? თქვენც არ მომიკვდეთ: „მელას თავის სახრობელა უყვარსო!!“..

* *

მეფე და გლახაკი. დანიის უხუცესს მეფეს ქრისტიანეს ჩვეულებადა აქვს ყოველ დილას სეირნობა; სეირნობის დროს იმას ყოველთვის თან ახლავს ხოლმე პრინცი ვალდემარი. ამ დღეებში მეფეს სეირნობის დროს ერთი გლახაკი დაუპირდაპირდა და მიუახლოვდა. მეფე ქრისტიანე ძალიან მოწყალედ ეპყრობა ღარიბებს და ხშირად ესაუბრება ხოლმე იმათ. რა დაინახა, რომ მშვიდობიანის სახით მოკრძალვით უახლოვდება იმას კაცი, მეფემ ჰკითხა:

— რა გინდა?

— შემიძლიან გთხოვოთ, თქვენო უდიდებულესობავ, სახსოვრად თქვენი სურათი?

მეფეს სიამოვნა ესეთი მოულოდნელი თხოვნა და სიცილით უთხრა:

— დიდის სიამოვნებით, მაგრამ ჯიბით არ დამაქვს ჩემი სურათები!

— მომიტევეთ, თქვენო უდიდებულესობავ,—ცბიერად მოახსენა გლახაკმა მეფეს,—თუ რომ თქვენი უდიდებულესობა ჩაიხედავდით ქისაში, იქ უთუოდ იპოვიდით თქვენს პორტრეტს.

მეფე ქრისტიანე, რასაკვირველია, იმ წამსვე მიხვდა გლახაკის თხოვნას და მაშინათვე უბოძა ოქროს ფული, რომელზედაც იმის სურათია გამოხატული.

* *

მოულოდნელი აღმოჩენა. ამერიკული გაზეთები ახირებულ ამბავსა სწერენ, რომელიც მომხდარა ვაშინგტონში, როდესაც იქ პრინცი ჰენრიხ პრუსიელი იმყოფებოდა.

პრეზიდენტმა რუზველტმა, რომ ესიამოვნებინა თავის სტუმრისათვის, უბძანა, გერმანული ლუდი მოერთმიათ თიხის ჭურჭლით. პრინცმა მადლობა გადაუხადა პატივსცემისათვის, ადღეგრძელა პრეზიდენტი, უსუნთქავად გადახუხა ლუდი და... უცბად საშინელი სიცილი წასკდა! ამასთან რუზველტს აჩვენა ჭურჭლის ძირი, რომელზედაც სხვილი ასოებით იყო დაწერილი: „მოპარულია ამა ამ ლუდხანიდან. პენსილვანიის ქურა“.

თურმე ჭურჭელი ქირითა ჰქონიათ წამოღებული ერთის ლუდხანიდან, სადაც მუშტრებს ძალიან არ ენდობიან.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აპრილი.

ბაქო. შაჰი მოვიდა თავის ამალით, რომელიც 34 კაცისაგან შესდგება. ვოკზალზე მიეგება გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე; შაჰმა მიიღო საპატიო დარაჯნი და დეპუტაციები საპატიო მაჰმადიანთა და ქალაქისაგან.

პარიზი. რადგანაც პრეზიდენტ ლუბეს რუსეთში წასვლის დრო მოახლოვდა, ამის გამო ელჩი თავადი ურუსოვი გუშინ პეტერბურგს გაემგზავრა.

გონკონგი. პეჩილიის ოლქში მოძრაობაზე კარგი ცნობები მოვიდა; უცხოელების წინააღმდეგ ამბოხება არ არის. ზოგიერთ ადგილებში მისიონერები შეაწუხეს, მაგრამ ეს ამბები ცოტა გაზვიადებულია.

პარიზი. საზღვაო სამინისტრომ მიიღო დეპეშა კრეისერ „სიუშეს“ უფროსისაგან (25 აპრილს) „მე დავბრუნდი სან-პიერიდან. ქალაქი სრულიად აოხრებულია ცეცხლისაგან. მგონია, ყველა მცხოვრებლები დაიღუპნენ. ცოცხლად გადარჩენილი ოცდაათი კაცი მე წავიყვანე. რაც გემები იდგა ნავთსადგურში, ცეცხლმა გაანადგურა. ცეცხლის მფრქვეველი მთა (ვულკანი) კიდევ მოქმედობს. მივემგზავრები გვადელუპაზე სურსათისთვის“. პორტი დე ფრანსე და ქალაქი სან-პიერი კუნძულ მარტინიკზეა.

ბუდაპეშტი. უნგრეთის დელეგაციის საბიუჯეტო კომისიაში გოლუხოვსკიმ განაცხადა: „მართალია, რომ მარტო status guo-ს დაცვა არ შეიძლება მუდმივი საპოლიტიკო მიზანი იყოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მეგობრული განწყობილება რუსეთთან შეიძლებს ორივე სახელმწიფოსთვის საქმეთა საკეთილოდ განხორციელებას.

სარატოვი. პირველი აგრონომიული მოლაპარაკება დაიწყო გუბერნიის საერობო გამგეობაში.

სიმბირსკი. არდატოვმაც იდღესასწაულა ასი წლის იუბილეი, რაც სამაზრო ქალაქად გადაკეთდა.

მოსკოვი. გუბერნიის ერობა გოგოლის სახსოვრად ოც-და-ათს წიგნთ-საცავსა ხსნის და ჟუკოვსკის სახსოვრად ნიშნავს სტიპენდიებს გლეხის ქალების აღსაზრდელად საქალებო სამასწავლებლო სემინარიაში.

პეტერბურგი. რეჩიცკის საერობო საავადმყოფოსთან არსდება სანატორია ჭლექიანთათვის. შეწირულია 150,000 მან.

ირბიტი. პირველი გემები მოვიდნენ. სახელმწიფო ხორბალი მოიტანეს მინდვრებში დასათესად.

27 აპრილი

პეკინი. ეპისკოპოსს ანცერს პირველი ხარისხის ნიშანი ებოძა იმ მოღვაწეობისათვის, რომელმაც ჩინელებ-ქრისტიანებსა და სხვა სარწმუნოების ჩინელებს შორის კეთილი განწყობილება შეინახა.

პარიზი. გაზეთების სიტყვით, ქალაქს სან-პიერში უბედურებამდე 30 ათასი მცხოვრები იყო.

რომი. ოფიციოზი გაზეთი „ტრიბუნა“ გოლუხოვსკის სიტყვის გამო ამბობს, რომ კავშირის დედა-აზრი შეუცვლელი დარჩება, ხოლო ტექსტში რამდენსამე ცვლილებას შემოიღებენო.

ჰონკონგი. ვუ-ჩაუდან მიღებულ წერილებით იტყობინებიან, რომ მეამბოხეთ ნანინგფუსათვის ყუმბარები დაუშენიათ ამ დროის ზარბაზნებიდან; სამასიდან ოთხასამდე მცხოვრებია მოკლული.

პეკინი. ქვრივმა დედოფალმა მიიღო ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი და მისი ამალა.

ბაქო. სადღესასწაულო სადილზე სადღეგრძელო წარმოითქვა მათ უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატორისა და სპარსეთის შაჰისა. ქალაქს დიდი სიცოცხლე დაეტყო. მშვენივრად გაჩირაღდნებულია.

ოდესა. ფრანგთა დეპუტაცია მიდის პეტერბურგს 2 მაისს და პრეზიდენტ ლუბესათვის ადრესი მიაქვს. მალოფონტანის გზას „ფრანგთა ბულვარი“ დაერქმევა.

საქალაქო საქმეთა საკრებულომ ნება დართო, რომ ქალაქის სათხოვარი ათი მილიონის სესხის შესახებ უმაღლესს მთავრობას წარედგინოს.

ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებათა აქაურ წარმომადგენელებმა გადასწყვიტეს დააარსონ განსაკუთრებული რაზმი, რომელმაც ცეცხლის დროს უნდა გადაარჩინოს და დაიფაროს მოძრავი საქონელი.

სოხუმი. ფოთის ნავთ-სადგურის ამშენებელს, პროფესორს ხარინცევს, რომელიც სოხუმის ნავთ-სადგურისათვის ცალკე პროექტს ამზადებს, აქაურ საბჭოს ხმოსნებმა აღუთქვეს, მომავლ ნავთ-სადგურისათვის 50 დესეტინა მიწას და ქალაქის ქვის სატეხიდან ქვას დაგითმობთ—მიწას თითო დესეტინას თუმნად და ერთ კუბიკურ საჟენ ქვას—მანეთადაო.

პარიზი. ახალ-შენების მინისტრმა ორი დეპეშა მიიღო, იუწყებიან: ცეცხლის წვიმამ ქალაქი სან-პიერი და იმის ნავთ-სადგურში მდგომი გემები სულ მოსპოო. კრეისერმა „სუშე“-მ შესძლო მხოლოდ რამდენისამე დაშავებულის წაყვანა. ჰფიქრობენ, რომ მცხოვრებლები ერთიანად დაიღუპა. მარტინიკას კუნძული სრულებით მოწყვეტილია ქვეყნიერობას, რადგან ტელეგრაფის კაბელი გაწყვეტილია.

სანტა-ლუჩია. სან-პიერიდან მოვიდა გემი „როდდამ“, რომელსაც არც ღუზა მოჰყოლია და არც ჯაჭვები. ამ გემის ზღვაოსანთაგან თორმეტი კაცა დაიღუპა.

მადრიდი. აქ მოვიდა რუსეთის ელჩი.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის საზოგადო კანცელარიის დირექტორი დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკი შიპოვი სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა; ამის ადგილზე-კი დაინიშნა სტატს. სოვ. პუტილოვი.

გვარდიის ცხენოსან-არტილერიის ბრიგადის პოდპორუჩიკი თავადი ალექსანდრე გიორგის ძე რომანოვსკი ჰერცოგი ლეიხტენბერგისა მის უდიდებულესობის ფლიგელადიუტანტად დაინიშნა.

26 აპრილს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ხელმწიფე-იმპერატორმადა დედოფალმა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა საარხეოლოგიო კომისია დაათვალიერეს.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსაღები ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 27 აპრილს

გაქსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,85	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^3/_4$	გაყიდ.
4% 0-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99	მყიდვ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$472^1/_2$	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	361	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	304	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	89	„
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$90^1/_4$	„
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	190	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია ტფილისის საათი, ფრჩხილებში კი—პეტერბურგის)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი - დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევს 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ. (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის წყლის მილისა და ელექტრონის ტრამვაის ამხანაგობის მმართველობა, რადგანაც ამხანაგობის პირველი და მეორე სერიების პაების კვიტანციებით ხვედრი ფასის შემოტანის ვადა ახლოვდება (პირველ მაისს ამა წლისა), ამით აუწყებს ყველას, რომ პაის ფასს მიიღებენ ქუთაისში, ამხანაგობის კანტორაში, აგრეთვე ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში.

ნამდვილი და წინად გამზადებულ (I და II სერია) ამხანაგობის პაების კვიტანციების შეძენა შეიძლება ქუთაისში—1) ამხანაგობის კანტორაში; 2) ურთიერთ კრედიტის საზოგადოების სამმართველოში; 3) მიხაილოვსკის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის კასირთან თ. მიქელაძესთან, და 4) მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭოს მდივანთან ა. ტ. ნანეიშვილთან. ტფილისში—1) სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სამმართველოში; 2) ამხანაგობის მმართველობის წევრებთან თ. რ. თ. ამირეჯიბთან, ა. ს. ბაბოვთან და თ. დისამიძესთან. ბათუმში—საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სამმართველოში; ფოთში—საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სამმართველოში და ჭიათურაში—მარგანეცის მრეწველთა საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სამმართველოში. (ნ. 2—1)

ქ. ბათუმში

იყიდება გაზეთი **„ცნობის ფურცელი“**

სპ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულს საზოგადოებას, **რომ ამ წლის 1 მარტიდან** ჩვენგან ახლათ გაღებულს

სახელოსნოში მიიღება ყოველგვარი ხის საქმე

სახელდობრ: სახლის ავეჯეულობა, სკოლის ავეჯეულობა, ეკკლესიის კანკელები, მშენობების კარ-ფანჯარა, „პადეზდის“ კარები და სხვა. სახელოსნოს მშრალ სახლებში მოთავსება-მოწყობა და ჩვენს საქმეში 30 წლის გამოცდა გვაბედვინებს დავაიმედოთ მუშტარი, რომ ჩვენს სახელოსნოში გაკეთებული საქმე საიმედო იქნება. ამისათვის სახელოსნო კისრულობს პასუხის გებას. აგრეთვე სახელოსნოვე კისრულობს ქალაქ გარედაც გაგზავნოს თავისი სეული ნივთები, სადაც კი ურმის გზა არის, რომ მუშტარს გაუადვილოს შრომა.

ადრესი: ფასანაურის ვიწრო ქუჩა (ვერაზე), საკუთარი სახლი, № 16.

(10—9) სახელოსნოს პატრონები ძმ. ვ. და დ. **გოცირიძეები.**

Дозволено цензурою Тифлисъ, 27 Апрѣля 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტ.-მბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.